№446 2016 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

„საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემის და სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ უფლებამოსილების გადაცემის ერთიანი გეგმის“ მოწონების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 17 ოქტომბრის №2709-Iს დადგენილებით რატიფიცირებული, 2014 წლის 5 ივნისის „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის

განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს „საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემის და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ უფლებამოსილების გადაცემის ერთიანი გეგმა“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**